

სსიპ ქალაქ ფოთის N12 საჯარო სკოლის გუნდი
„ციმბელინი“

პრეზენტაციის თემა: მარჯორი უორდროპი და
ქართული ენა



Handwritten text in Georgian script, partially obscured by a circular stamp. The text appears to be a letter or a document, with some words clearly visible like "Chislehurst, Kent" and "England".




მე ვიყავი...
ნახვალს...
ვქვეყნებ...
უკეთესი...
ენაში რომ...
ყველა...
მე...
გავუზიარო...
სიამოვნება...
მაგრიძნობინ...
თქვენ...
მან...
უბრა...
თარგმანში.

მე ვიყავი...
ქონდა...
მე...
დამო...
მე...

Printed text from a newspaper or document, partially visible on the left side of the page.



მალე მოვალ...
რომელს...
ვჭკრიძნებ...
მე...
უბრა...
თქვენ...
საქართველო...
მე...
მე...
თქვენი...
Mary Wardrop.



„ჩემი განდევილი მომირთმევია
თქვენთვის, როგორც გენებოთ, ისე
იმსახურეთ“, - არ დააყოვნა პასუხი
ილიამაც.

„თქვენი მეცადინეობა ჩვენის გონების
ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ
სამსახურად იქნება მიჩნეული ყოველის
ქართველისაგან...“

ილიამ უსაზღვრო მადლობა
მოახსენა მარჯორისა და ოლივერს
„ჩვენი ყველასაგან დავიწყებული“
ქვეყნის სიყვარულისთვის. ის
თავის „უბედურ, მაგრამ მშვენიერ
ქვეყანაში“ დაპატიჟა და, რაც
მთავარია, ინგლისელი ქალის მიერ
გამართული ქართულით
მოწერილი წერილი მაშინვე
გამოაქვეყნა თავის „ივერიაში“.



რადგანაც გადალება ინგლისურად ჩვენის
მწერლობისა, გადალებაა ჩვენის
გულისცემისა, ჩვენის გულითადის
ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა,
ჩვენის გონების და გრძნობის ძალ-
ღონისა საყოველთაოდ საცნობელად“.

უცხოელის მიერ ქართულის შესანიშნავად ცოდნის ფაქტს რომ ერთი სამადლობელი წერილი არ ეყოფოდა მშვენივრად მოეხსენებოდა ქართველ ხალხს და იმავე დღესვე ჟურნალისტმა დავით მიქელაძემ, „მეველეს“ ფსევდონიმით, საგულისხმო სიტყვები უძღვნა ქალბატონ მარჯორის.

„ჩვენ ვერ ვნახეთ შესაძლებელად, რომ ეს მშვენიერი წერილი ინგლისელის ქალისა, რომელსაც ქართული წერა - კითხვა შეუსწავლია ძველი წიგნების საშვალეობით თავის კაბინეტში, დაგვემალა და არ გაგვეზიარებია საზოგადოებისათვის ის ჭეშმარიტი სიამოვნება, რომელიც ჩვენ იმის წაკითხვის გამო ვიგრძენით.

ქალბატონი ვარდროპი კარგა ხანია ვიცოდით, რომ მოყვარული იყო ჩვენის ქვეყნისა, მაგრამ ეს საპატიო ქალი ახლა თავისის პირით აღიარებს ამ ძვირფასს ჩვენთვის გრძნობას, რომელსაც უეჭველია ყველა კარგი ქართველი ჩინებულად დააფასებს.

Saluzentis
Journier
12 de la Madeleine



Gentlemen



FABRIQUE DE SERR
pour Saluzentis
J. Blondeur-Fo
12 Rue de


როგორც წერილიდან სჩანს ეს დიდად ჩვენთვის სიმპატიური ასული დიდებულის ქვეყნისა მალე გვესტუმრება და იმედია, დარწმუნდება, რომ ქართველი ხალხი არ არის უმადური და სიყვარულისა და მეგობრობის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ დაგვიმტკიცა ამ სამაგალითო ქალმა - ქართველს კარგად ესმის.

„ივერიის“ მკითხველი, რასაკვირველია, საკმაოდ იცნობს ბ-ნის vaziani ს (ვარლამ ჩერქეზიშვილი- „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი) წერილებიდან ქალბატონ მარჯორი ვარდროპს და მის საპატიო ოჯახს. მაგრამ შეცდომაა იმისი ფიქრი, რომ კაცმა შეიძლოს ღირსეულად დააფასოს და მისწვდეს ინგლისელის ოჯახის სიკეთეს და იმ ტიპების გონებრივსა და ზნეობრივ სიმხნევს და სიმშვენიერეს, რომელთა რიცხვში უნდა ჩაითვალოს Miss Marjory Wardrop_ი დაწერილისა და მოთხრობილის ამბით. ამისთვის საჭიროა თითონ ამ ოჯახების ნახვა და ამ ტიპების გაცნობა“.

„ივერია“, 1894 წელი, 8 სექტემბერი, N 191



PROVIDENCE
DEC 22
8:30 PM
1920
PRIORITAIRE



ერთი სიტყვით, ზემოთ აღნიშნული ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქართულ საზოგადოებას და დიდი პოლემიკაც გამოიწვია ქართული ენის ცოდნის, ზოგადად განათლებისა და ქალთა მდგომარეობა-როლის შესახებ.


როგორც აღნიშნულია, „მარჯორი, ისე რომ ჯერ ფეხიც არ დაედგა საქართველოში, დიდი ფემინისტური დებატების შუაგულში აღმოჩნდა და ქართველი ქალების საგანმანათლებლო ემანსიპაციის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა“.

ამ წერილების შემდეგ, ხალხის გულისყური მთლიანად ამ ინგლისელი ქალის მიმართ იყო მიპყრობილი, მისი არც ერთი ნაბიჯი რომ არ გამოჰპარვოდათ. ამის დასტურია 1894 წლის 12 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის ინგლისურად მთარგმნელი ქალი – მარჯორი უორდროპი უკვე გამოემგზავრა საქართველოში და იმჟამად თბილისში მყოფი მისი ძმა – ოლივერ უორდროპი სტამბულში დახვდებაო.

„სახელოვანთქმულ ინგლისიდან შემოფრინდა ჩვენში ობლად, ვით მერცხალი მოჭიკჭიკე გაზაფხულის მახარობლად... გვითხრა: ტყვილა გულს ნუ იტეხთ, თქვენგან მე ბევრს გამოველი. არ მოკვდება არა ერი, ვინც წარმოშვა რუსთაველი“.

აკაკი წერეთელი





О С Е Т И Я Ч Е Ч Е Н Ц Ы

რატომ გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტმა, როგორც უცხო ენის შესწავლაა? პასუხი მე-19 საუკუნის ისტორიულ რეალობაში უნდა ვეძებოთ.


როგორც ჩვენთვის ცნობილია, 1801 წლიდან რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. მისი კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო ქართული ენის განდევნა და ქართველი ხალხის სრული ასიმილაცია. გარკვეულწილად მათ მიზანს მიაღწიეს კიდევ.

ქართული ენის მდგომარეობა ძალზე სავალალო იყო. ის კარგავდა თავის ბუნებრივ დანიშნულებას. მის ადგილს რუსული იჭერდა.

1873 წლიდან ქართული ენა მხოლოდ საშუალო სასწავლებელთა პროგიმნაზიულ კლასებში დატოვეს და ისიც არასავალდებულო საგნად.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის კი ქართული ენა თითქმის საბოლოოდ განიდევნა დაწყებითი სკოლიდანაც.

ეროვნული ცნობიერების აღორძინების უმთავრეს პირობად ქართველ 60-იანელებს ენის კანონიერ უფლებებში აღდგენა და მისი სიწმინდის დაცვა მიაჩნდათ. სწორედ ამიტომაც, განათლების სისტემის რუსიფიკაციას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აქტიურად უპირისპირდებოდა.



„რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული — ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია“.

„შინაური მიმოხილვა“, 1881 წელი, მარტი

დედა მნა

ანუ

ანგანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო უკულუბისათვის

შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან.



გამოცემა პირველი, სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

აი როგორ იგონებს იმ ეპოქის საქართველოს მდგომარეობას პირველი იურისტი ქალი - ნინო ყიფიანი (დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი). „გარუსება-გადაგვარება სასწავლებლიდან დაიწყეს, ქართული ენა ძაღლის ენად მონათლეს და მასზე ლაპარაკი აკრძალეს. ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, იმას წითელ ფირფიტას ჩამოჰკიდებდნენ, ზედ რომ ძაღლის ენა იყო გამოხატული. მოწაფის ხელში, რომ ქართული გაზეთი დაენახათ, მასწავლებელი ხელიდან გამოჰგლეჯდა: „მაგ სისულელის კითხვით თავს ნუ ილაყებო“... არა მარტო სასწავლებლებიდან, არამედ ქართული ენა დაწესებულებებიდანაც იდევნებოდა.

საქართველოს ბიბლიოთეკა- სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი N2 (75), 2019



შექმნილ მდგომარეობაზე თვით მარჯორიმაც ისაუბრა თავის წიგნში - „მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები“ - სადაც თავის ლიტერატურულ ნიჭთან ერთად პოლიტიკურ საკითხებში განსწავლულობაც გამოავლინა და ირიბად დასავლეთ ევროპასაც მოუწოდა რუსული დესპოტიზმისგან ეხსნა საქართველოს უძველესი სამეფო.

„სამწუხაროა, რომ ეს პატარა მამაცი ქვეყანა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა საკუთარ დამოუკიდებლობას, უშიშრად იბრძოდა ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად, რუსეთის სიბრიყვის გამო ეროვნულობის დაკარგვის საფრთხის პირისპირაა...“

რუსეთი, ქრისტიანული ქვეყანა, რომელსაც დასახმარებლად მიმართა ერეკლე II-მ, როცა თითქმის მოიშუშა 1795 წელს აღა მაჰმადხანის სასტიკი ლაშქრობის შედეგად მიყენებული ჭრილობები, ისეთივე მტრად მოეგლინა საქართველოს, როგორც - მაჰმადიანები. რუსეთი განზრახ ცდილობდა ქართული ენის ამოძირკვას, აკრძალა მისი სწავლება სკოლებში. მხოლოდ, როგორც უცხო ენას, ისე ასწავლიდნენ, და ისიც - დაწყებითი სკოლის ორ კლასში. ამის შედეგად, კურსდამთავრებულს თითქმის აღარ ახსოვს მშობლიური ენა“.



წინააღმდეგობა შეუძლებელია, რადგან პილოციური სისტემად მეტად ფხიზელია. მაგალითად მოვიყვანთ ქუთაისში დაარსებულ ქალთა კერძო კლუბს. მისი წევრები სხვადასხვა სახლში იკრიბებოდნენ და ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს კითხულობდნენ. კლუბი სულ რამდენჯერმე შეიკრიბა: ჟანდარმები შეცვივდნენ ერთ-ერთ სახლში, რომელშიც კლუბის წევრები შეკრებილიყვნენ და ნება არ მისცეს, მუშაობა გაეგრძელებინათ.

რუსეთს დაავიწყდა, რომ საქართველო მას არ დაუპყრია: ამ ქვეყანამ დახმარება სთხოვა, და საქართველოსთან 1800 წლის 19 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, იმპერატორმა პავლემ ქართველთა ყველა უფლება და პრივილეგია აღიარა.


ჩავვრასა და დესპოტიზმს, აგრეთვე, სრულ რუსიფიკაციას, რომელიც ქართველებს დაატყდათ თავს, შედეგად მოჰყვა მაღალი ცივილიზაციის დაცემა და აჯანყებული ხალხი, რომელიც მზადაა იმოქმედოს მის ეროვნულობას დამუქრებულ ცბიერ და სასტიკ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად. საქართველოს უძველესი სამეფო დასავლეთ ევროპისგან ელის შემწეობასა და თანაგრძნობას“.

მოდას აყოლილი, კუდაბზიკა ქართველები მტრის წისქვილზე საკუთარი ხელით ასხამდნენ წყალს. ამ მტკივნეულ მომენტს, ქართული იდენტობის შენარჩუნების სადარაჯოზე მდგარ გულმხურვალე მოაზროვნეთა, არაერთი პუბლიცისტიკა მიემდვინა.

„ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თავილობს თავის დედანით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლოური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“.

ილია ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1879 წელი, თებერვალი





მართალია საკუთარ ენასთან გაუცხოების პრობლემა ყველას თანაბრად ეხებოდა, მაგრამ ჩვენმა მოღვაწეებმა ქართველი ქალის ისტორიულ როლზე გაამახვილეს ყურადღება, ენის შენახვა-გადაცემის საქმეში, და სწორედ ამ მწარე სიმართლეს მოჰყვა დიდი პოლემიკა, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან პრობლემასთანაც - ქალთა სასწავლებლების სიმცირე/არ ქონა და მათი უუფლებო მდგომარეობა - მიგვიყვანა.

„არა ხალხში, რომელიც განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებდნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ. ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი“, - წერდა ილია 1879 წლის აპრილის „შინაურ მიმოხილვაში“.



„ მანდილოსები იმთავითვე დიდი გავლენით სარგებლობდნენ ქართველებში, რაც, შესაძლოა, ადრეულ ხანაში მათ მიერ ქრისტიანობის მიღებამაც განაპირობა“, - შენიშნავდა მარჯორი თავის წიგნში, „მოგზაურობა საქართველოში: ჩანაწერები“, და დასძენდა, რომ „ლიტერატურის ნიმუშთა უმრავლესობა ქალებმა გადაარჩინეს დავიწყებას. ახლაც, სოფლად, ბევრი ქალბატონი ზამთრის საღამოებს შოთა რუსთაველის უმშვენიერესი ეპიკური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად წარმოთქმაში ატარებსო.



მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველებისა და ენის დამოკიდებულებაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა გამოგვრჩეს მარჯორით აღფრთოვანებული აკაკის წერილი „საუბარი ინგლისელ ქალთან“ და არტემ ახნაზაროვის (ჩიორას) მიერ ივერიაში დაბეჭდილი „არც ყბად-ასაღები და არც წყალ-წასაღები ამბავი“, - როგორც თავად უწოდა. მეორისა რა მოგახსენოთ, ყბად-ასაღები კი ნამდვილად აღმოჩნდა. მოგვყავს ნაწყვეტები ორივე წერილიდან.

„ამას წინათ ერთი ახალგაზრდა, ცქრიალა, ინგლისელი ქალი გამაცვნეს, რომელიც კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ, მხოლოდ გურულად კი უქცევდა კილოს. გამიკვირდა და ვკითხე: ასე ჩქარა როგორ შეისწავლეთ-მეთქი? სიცილით მიპასუხა: „თუ კი მოინდომა, ორი წლის განმავლობაში რომ კაცმა ენა ვერ ისწავლოს, აბდალი უნდა იყოსო“.



შუაგულ საუბარში რომ ვიყავი, მოვიდა ჩვენთან ერთი ახალგაზრდა ქართველი ქალი, მოგვესალმა და მითხრა: „რა საუცხოვოთ იმღერის ვარინკა თქვენს ლექსებს!.. ამას წინათ იმღერა ჩვენსა და მეტათ დაგვატკბო. ძალიან ვწუხვარ, რომ სიტყვები არ მესმისო_ ნუ გაიკვირვებთ, ჩემი ბრალი არ არის: სასწავლებელში ყურადღებას არ აქცევენ ქართულ ენას და ჩვენს სახლში ქართულად არავინ ლაპარაკობსო“.

გამიკვირდა, ამ ქალბატონის ოჯახს კარგათ ვიცნობდი: მამამ მხოლოდ „მაიამ-ტვიაიმ“ იცოდა, ისე ამტვრევდა ენას და დედას ხომ საყველ-პუროც უჭირდა. მაგრამ დახეთ, მაინც თურმე არ კადრულობდენ ქართულს!..

_ კი მაგრამ, - მივუბრუნდი გადარჯულებულ ქალბატონს, - თუ კი სურვილი გაქვთ, განა ახლავერ ისწავლით? აი, ბატონო, ამ ინგლისელ ქალს ორ წელიწადში შეუსწავლია შვენიერთა და თქვენ ოც წელიწადს როგორ ვერ შეისწავლეთ?

_ ეგ, ალბათ, ისეთ წრეში ყოფილა, რომ სულ ქართველები ყოფილან და ჩვენს წრეში ქართული არავინ იცის. მაღალ წოდებაში როგორღაც არ ხერხდება ქართულის ლაპარაკი და არც მიღებულია. უცხო ენები უფრო გვეხერხება და მართალი რომ ვთქვათ, მაინც და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება“.

საპირისპიროდ ამ ქალბატონისა, მარჯორი აღნიშნავდა, რომ ქართული სიტყვა კარგად ირითმება, ხოლო ქართული ძალზე რიტმული ენააო.






„ნეტა ეხლას რაღას იტყვიან ჩვენი ქალები?!. ძველად საქართველოში, ბაღში კი იცის, წიგნის მცოდნენი ოჯახში ქალნი იყვნენ, ის „მარად ნეტარნი დედანი“, რომელთაც მზითვადაც კი ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ მიჰქონდათ ხოლმე და ეს შეადგენდა მზითვის თვალსაჩინო ნივთიულობას. მას შემდეგ დრონი იცვალნენ.

დიალ, დაჰბერა ცხოვრების ახალმა სიომ და „ვეფხისტყაოსნის“ ადგილი ჰოლ დე-კოკის და ჰონსონ დე-ტერაილის რომანებმა დაიჭირა, ისიც გარმიანულს ენაზედ დაწერილმა; ტკბილი ქართული ენა წაირყვნა, ჩვენმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ჟღერტული, ქართული იუკადრისა, აითვალისწუნა, ივანე „ვანიუხად“ გადაიქცა და მარიაში „მაშინკად“.


ქართულს ოჯახებში, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც უცხოთა გავლენას უფრო უკეთესი ნიადაგი ჰქონდა, ქართული ენა წაბორობიკდა, დაჩლოუგნდა, დაბლაგვდა; ისევ არა-ნასწავლთ ქალთ თუ ჰნახავდით ტკბილის ქართულით, ისიც დროთა ვითარებისა გამო გადუბჭირებულით მოსაუბრეს, თორემ ნასწავლი ქალი სწავლასთან უეჭველად ქართულსაც ივიწყებდა. საკვირველი ის არის, რომ არც სცხვენოდათ დედა-ენის დავიწყება, თავმოსაწონებლად, საქებად მიაჩნდათ, „განათლების ნიშნადა“ სთვლიდნენ. ვისაც ესმოდა რამე და ჰგრძნობდა ამ სირცხვილს, ის კიდევ იმით ჰმართლოურობდა თავს, რომ სასწავლებლებში არ გვასწავლიან ქართულს და საიდგან ვისწავლიდითო.



WISDOMS
COME
TRUE

ამ გასამართლებელს საბუთს რომ ფეხები მოკლე აქვს და სავლელი მანძილი მცირე, ეს ყველასათვის აშკარაა, რადგან ასეთს გარემოებაში ისე უნდა იყოს საქმე მოწყობილი, რომ საძირკველი ქართულს ენას თვით ოჯახშივე ჰქონდეს ჩაყრილი და ყმაწვილი ოჯახშივე სწავლობდეს დედა-ენას საფუძვლიანად და სავსებით.


ეხლა კი ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა, Miss მარჟორი ვარდროპმა, ეს თავის გასამართლებელი საბუთიც ჩამოართვა ჩვენს ქართველს ქალებს და ნეტა ვიცოდეთ, ამიერიდგან „მიზეზ-მიზეზობას“ რაღა გაუწევს! ხომ წაიკითხეთ ამ ყმაწვილის ქალის წერილი, ილია ჭავჭავაძეს სახელობაზედ წარმოგ ზავნილი და შეუმოკლებლად, სავსებით დაბეჭდილი „ივერიის“ მე-191 N-ში. წერილი კარგის ქართულით არის დაწერილი, ისეთის კარგის ქართულით, რომ ნეტა საქართველოს ყველა ყმაწვილმა ქალმა შესძლოს ასე დაწერა.



WISDOMS
COME
TRUE

ახლა რაღას იტყვით, ქალბატონნო,
მშვენიერნო და არა-მშვენიერნო, ტურფანო და
ჰაეროვანნო არსებანო?!... თუ ინგლისელმა
ყმაწვილმა ქალმა შესძლო ლონდონში,
ქართულის ერთის სიტყვის გაუგონრადაც -კი,
ასე ლამაზად შესწავლა ქართულის ენისა, ნუ
თუ აქ, საქართველოში, თქვენ არ შეგიძლიანთ
ქართული შეისწავლოთ, ის ენა, რომლის
„ნანათიც“ ურწევია დედას თქვენი აკვანი,
რომელიც დაბადებითვე ყურში გაქვთ
ჩაწვეთებული?!

მიჰბაძეთ ჩქარა თქვენს უცხოელს დას,
შეისწავლეთ ქართული ენა და თქვენც
განითავისუფლეთ თავი სირცხვილისაგან და
ჩვენს ქვეყანასაც ააშორეთ სირცხვილი.





საიდუმლოდ ერთს ამბავსაც გეტყვით. როგორც ყური მოგკარით, ქართველ ყმაწვილს კაცებს, რომელთაც-კი Miss მარჟორი ვარდროპის წერილი წაუკითხავთ, გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი ქართველი ქალი არ შევირთოთ, თუ საფუძვლიანად არ იცის ქართული ენაო.

ეხლას რაღას იტყვით, ნუ თუ არც ეს გასჭრის?!“

„ივერია“, 1894წელი, 11 სექტემბერი, N193

ქართველმა მწერალმა და ფემინისტმა - ეკატერინე გაბაშვილმა ჩიორას ზემოთ მოყვანილ კრიტიკას საპასუხო წერილი უძღვნა და „გადარჯულების“ თავიდან ასაცილებლად, ეროვნულობის შენარჩუნების საწინდრად პრობლემის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა და ჯანსაღი დიალოგი მიიჩნია.

„მაშ კაცების კიჟინი მოყვრის რჩევად მიიღეთ, ახალგაზრდა ქალებო, და აასრულოთ ის ყველა ქართველის სურვილი, რომელიც ჩიორამ გისაყვედურათ, ქართველები იყავით გულით და ნუ გადაშენდებით იმ მიზეზთა ზეგავლენის წყალობით, რომელიც ჩვენს მოსწავლე ქალებს მართლა-და ამახინჯებს. ნუ ვინუგეშებთ თავს იმითი, რომ კაცებიც გადაგვარებულნი არიან.

დეე იმათ ჩვენ გვისაყვედურონ, ჩვენ იმათ ვუსაყვედუროთ და ერთმანეთის ქიშპით საერთო საქმე, საერთო იდეალი, საერთო სურვილი უკეთ მოვაწყოთ, უკეთ ვაწარმოოთ“.





მისმა ტკბილმა ქართულმა ბევრი დააფიქრა საკეთილოდ, -
 აღნიშნავდნენ ქართველი მოღვაწეები. თავად მარჯორი კი ხაზს
 უსვამდა ქართულის შესწავლის სირთულეებს: მეგობრული მიღება და
 აღფრთოვანება, რომელსაც ყველგან გამოხატავდნენ, ბევრად
 აღემატებოდა იმ დახარჯულ საათებს, მათი ურთულესი ენისა და
 უჩვეულო ქართული ზმნის შესწავლაზე რომ დაეხარჯეთო.



კითხვა ჩემთვის ახლა სოვიკითხა
 ქართულად, მაგჩამ კითხვა სხვა ახილ
 რა მათი რჩა სხვაა.
 ნეჭა თუ უხილ ქიქივ მკვირი
 ვახი სუქი რეკამი. ვითა სემუტკი
 საყვარელი ახილ.




მარჯორისეული, სახარების ქართული თარგმანით ნასწავლი, ენა თავიდან ბევრს აოცებდა და ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც აგდებდა ინგლისელ ქალს. ამასთან დაკავშირებით, თედო სახოკიამ შემოგვინახა ერთი საგულისხმო მოგონება.

„საგურამოში ილია ჭავჭავაძე დიდი პატივით დაუხვდა უცხოელ სტუმრებს, უორდროპის ასული ცდილობდა თავის ახლო ნაცნობებთან ქართულად ებაასნა, ქართულად გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი; მხოლოდ ხანდისხან უკვირდა, რომ თანამობაასეთა, განსაკუთრებით მანდილოსნების, სახეზე გაკვირვების ნიშანს ჰკითხულობდა და სწუხდა, ნუთუ გარკვევით ვერ გამოვსთქვი ქართულიო. თითქო იმედი ჰქონდა, რომ სწორედ ლაპარაკობდა და დიდს ხანსაც გაგრძელებოდა მისი გაოცებაცა და დარდიცა, რომ არ აეხსნათ ამ გაუგებრობის მიზეზი. როგორც ვიცით, განსვენებულმა ქართულის სწავლა ინგლისში დაიწყო და პირველად ისწავლა არა თანამედროვე ენა, დღევანდელი ქართველი რომ ლაპარაკობს, არამედ ენა სახარებისა, მე-9 ან კიდევ უფრო ადრინდელ საუკუნეში ნახმარი: „გარქვით“- „გითხარით“- ის მაგიერ, „არ ძალმევდა“,- „არ შემეძლოს“ წილ და სხვა. სტუმარს აუხსნეს ჩვენი ქალების სისუსტე ძველის ქართულის ცოდნის მხრივ და დაამშვიდეს. ამ ამბავმა არა ერთი და ორი ქალი ჩააგდო გულისხმაში, არა ერთი და ორი დააფიქრა ჩვენ მიერ დედა-ენის დავიწყების შესახებ და შემდეგში უცხოელია მაგალითი თვალწინ ედგათ თავიანთის ნაკლის მამხილებლად“.

თედო სახოკია, „სახალხო გაზეთი“, 1912 წელი, N635

1895 წლის გაზეთ ივერიაში (2 თებერვალი, N25) კი მუხვდებით კორესპონდენციას ოზურგეთიდან,

რომელშიც წიგნის მალაზიის მფლობელი აღტაცებას ვერ მალავს და-ძმის „მშვენიერი ქართული კილოს“ გამო:



„დღეს შემოვიდნენ ჩვენს წიგნის მალაზიაში და წიგნთსაცავში, საიდგანაც ათითორმეტი მანეთის წიგნები წაიღეს, რომელიც თფილისში ვერ ეშოვნათ.

მითხრეს:” ახალ სენაკში და ოზურგეთში დაბეჭდილი წიგნები, რაც გაქვთ მოიტანეთო”.

ჩვენი ქართველი “ბარიშნები” და “დამები”, რომ შემოდინ მალაზიაში მეუბნებიან:



”აკაკის საჩინენიას” შენს “ტიპოგრაფიაში” რატომ არ ჰბეჭდავო, ან კიდევ “ნოვო-სენაკის” “ტიპოგრაფიაში” უფრო “დახოდი” გაქვს თუ ოზურგეთშიო? და სხვა...



აბა ამ დროს მოდი და ნუ მოხვალ აღტაცებაში, როდესაც
იმ შესანიშნავს და ჩვენზედ დიდად დაშორებულ
სახელმწიფოსგან, სადაც ხსენება ქართველის არ არის,
მოდის ადამიანი, რომელსაც თავისით შეუსწავლია
მშვენიერი ქართული ენა და გელაპარაკება ჩინებულის
ქართული ენით: “ ახალ სენაკისა და ოზურგეთის
სტამბების გამოცემა მომაწოდეთ!”





მარჯორიმ, თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, ბევრი რამის გაკეთება მოასწრო საქართველოსთვის.

იყო ნიჭიერი მთარგმნელი, „დიპლომატი“, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი, კარგი მეგობარი, ჩაგრულთა და გაჭირვებულთა შემწე, ჩვენს ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. „ცამეტი წელიწადია არ ვყოფილვარ საქართველოში. ჩემი გული სიყვარულით მისკენ უკუნისამდე ბრუნდება“.

და მაინც, ზემოთ ჩამოთვლილთაგან არაფერი რომ არ გაეკეთებინა, უბრალოდ ქართული ენის სწავლის გამოც, დასაფასებელ ადამიანად დარჩებოდა, რადგან ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ქმედებით ბევრს გამოუღვიძა სინდისი და ეროვნული მნიშვნელობის საქმე გაგვიკეთა.

